სახალხო გაზეთი

№ 1033 შაბათი, 2 ნოემბერი 1913 წ. № 033

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის სახ. № 8.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ნოემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 1 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

სამშაბათს, 29 ოქტომბერს გარდაიცვალა

სოლომონ გიორგის ძე გაბაშვილი,

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ცოლი მისი ელისაბედი ექვთიმეს ასული და შვილები: დარია სოლომონის ასული ელევთეროვისა, მარიამ და ანასტასია სოლომონის ასულნი, გიორგი, ივანე და ნიკოლოზ სოლომონის ძენი. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, (19 თებერვლის ქუჩა, ჩუღურეთი, სახლი № 12). გამოსვენება კვირას, 3 ნოემბერს, დილის 10 საათზე, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 764

ივანე იაკობის ძე, ნინო იოსების ასული და გიორგი იოსების ძე იმედაშვილები, ბარბარე სიმონის ასული ხუბულოვისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უეცრად გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მამა, მეორის—მამამთილი, მესამის—ძმა და უკანასკნელის—სიძე

იაკობ (იობი) იმედაშვილი.

გამოსვენება (ავლაბარი, ჩარსკის ვიწრო ქუჩა, № 3). კვირას, 3 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში. წირვა პანაშვიდის გარდახდის შემდეგ დაკრძალულ იქმნება 3. ტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე. 767

როსტომ, ეკატერინე, ნინო, არჩილი, ირაკლი და თამარ ამით აუწყებენ, რომ კვირას, 3 ნოემბერს გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი პირველის დაუვიწყარ მეუღლისა და დანარჩენის დედის

მარიამ გიორგის ასულის ავალიანის

სულის მოსახსენებლად წმ. ნინოს ეკლესიაში. 768.

ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების ხონის განყოფილების გამგეობა აცხადებს, რომ 3 ს გიორგობისთვეს ამა 1913 წ. ხონის საკრებულო ტაძარში იქნება წირვა და ნაწირვებს პანაშვიდი ხონის ცნობილ საზოგადო მოღვაწის

ივანე სიმონის ძის შარაშიძის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად. 1569.

ამით ვაცნობებ

სვიმონ ზაქარიანის

მეგობრებს და პატივისმცემლებს, რომ შაბათს, 2 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე რკინის გზის სადგურიდან გადმოასვენებენ ცხედარს ვანქის ტაძარში, სადაც საღამოს ექვს საათზე გადაიხდიან პანაშვიდს. ცხედარს გაასვენებენ ვანქის ტაძრიდან კვირას, 3 ნოემბერს, 12 საათზე. დაკრძალავენ ხოჯევანქის სასაფლაოზე.

კომისია. 1570

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 3 ნოემბერს, ქართულ სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილ იქნება ავ. ცაგარლის კომედია:

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: გოდერძი, კ. კორინთელი, ა. კახელი, მრევლიშვილი, თ. ნარაკიძე, მ. რომანიშვილისა, მ. ქართველიშვილისა, ყოჩიშვილი, ელ. ცომაკურიძე. ბ-ნნი: მ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, ილ. ზურაბიშვილი, ჟვალბულიძე, თუხარელი, კავსაძე, ივ. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ნინიძე, ს. რომანიშვილი, სალაყაია, ს. ტარუაშვილი, ქიაურელი და გ. ჯაბაური.

ადგილების ფასი 5—50 კ. ◆ დასაწყ. საღ. 8 ს.

რეჟისორი ალ. წუწუნავა. თანაშ. ჭანკვეტაძე. „წრის" ადმინისტ.

ფარდის ახდის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია. 1486

გ ო რ ი

ადგილობრივ საკრებულო დარბაზში

შაბათს, 2 ნოემბერს,

მგოსან **აკაკი წერეთლის** მონაწილეობით

გაიმართება სალიტერატურო-სამუსიკო

საღამო-მეჯლისი

მონაწილეობას მიიღებენ:

აკაკი,
ს. დადიანი, ს. ფაშალიშვილი,
ვ. ირეთელი, გ. ქუჩიშვილი,
დ. აკოფაშვილი, მომღერალთა გუნდი
თ. ღვინიაშვილი, ე. ხუციშვილის ლოტბარობით.

გამგე საღამოსი ალ. ივ. მელიქიშვილი, ადმინისტრატორი ს. გძელიშვილი.

დასაწყ. საღ. 8-ნახ. ს. 1561

ტელეფ. № 7—5. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 17—6.

კვირას, 3 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

მ ე დ ე ა,

ცნობილი დრამა 5 მოქმ. ა. სუვორინისა და ვ. ბურენინისა, თარგ. დ. მესხისა. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: მდივანი, ჩხეიძე. ბ-ნნი: გუნია, იმედაშვილი, მესხი, სარაული, ციციშვილი, ურუშაძე.

დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს. ◆ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი მ. ქორელი. ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად.

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება წარმოსადგენად: ნაგავი, ვაი ჭკუისაგან, სინათლე, დიდებული არტისტი და სხვ. 1533

ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 3 ნოემბერს,

ნ. ა. დუბროვსკი

წაიკითხავს ლექციას:

ეროვნულ იდეის ისტორია დასავლეთ-ევროპაში

მე-XIX საუკუნეში.

პროგრამა: ეროვნული იდეა ძველად და საშუალო საუკუნეებში. ფიხტეს ფილოსოფია და ეროვნული იდეა: ეროვნულ იდეის განვითარება მე 19 საუკუნ. პირველ ნახევარში; ეტვეშის იდეოლოგია; ეროვნული იდეა და ერთა ცხოვრება მე-19 საუკ. მეორე ნახევარში; მე-19 საუკუნის ლიტერატურის გავლენა ეროვნულ იდეის განვითარებაზე. ეროვნული საკითხი ევროპის ლიტერატურაში და ევროპის საზოგადოების მეცნიერებაში.

დასაწყ ნაშუა დ. 1 ს ადგილების ფასი 1 მანეთიდან 5 კ.-მდე. 1572

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 2 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი წარმოდგენა

ბენეფისი ჭიდაობის ხელმძღვანელისა ვ. ი. კრუჩინინისა

მე-10 დღე გამოჩენილ ფალავანთა ფრანგულ **ჭიდაობისა.** ეს ჭიდაობა მოწყობილია პეტერბურგის „ვესტნიკ სპორტის" რედაქციისაგან და მოხდება თვით რედაქტორის ნ. ი. პეტროვის ხელმძღვანელობით. დღეს ჭიდაობენ: წითელი მასკა და სოკოლი, ივ. კაინი და ბერნარდი, კოსტა მაისურაძე და მუხანურა, ზანგები ჩემბერს ციპსი და ტომს აიერი. ჭიდაობა დაიწყება 9-ნახევარ საათზე, თავდება 11 საათზე

763 დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ქუჩაზე № 23—24,

მიღებულია ახალი საქონელი.

სეზონის შემდეგ გადარჩენილი საქონელი ძლიერ იაფ ფასებში. იყიდება საფაბრიკო ფასებს 20% დაკლებით. დარწმუნებულნი ვართ საქართველო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან. იქვე შეიძლება შეკვეთა.

მიღებულია დიდი წყება **დამზადებული ტანისამოსისა.**

მამაკაცთათვის, ქალებისათვის და ბავშვთათვის აგრეთვე მამაკაცების „კოსტიუმები" და ქალების კაბები და კოფთები ცალ ცალკე.

1491 პატივისცემით ძ. ნ. პორტუგალოვისა.

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

1468

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. (სნეულებ. და ელექ.)	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორუმბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

ა ხ ა ლ კ ლ უ ბ თ ა ნ

არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირიჟორ **ს. ი. პროსმანთან.**

ყოველ დღე დილით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა გ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვასებური სხივებით ფილტვებისა და გულის გალანდვა.**

ყოველ დღე 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 15 6

საგურამოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 61 სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. ფ 122

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. [illegible] ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. [illegible] ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარ. და. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს

გ. ა. [illegible] ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოხხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი: აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით 1462

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 1—3 საათამდე. საბებიო და ქალის ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ბლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathien.** იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ი. ზ. გძელიშვილი სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., 5—7 სათ. საღამოს 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 5, სახ. გაბაშვილისა.

დ ო ქ ტ ო რ ი

ი. ფ. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობ. იღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12-25. 751

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი ვ. ლ. კიკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი შ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ქ. გ ო რ შ ი

ექიმი (დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი). **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამეცნიერო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—2 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ქართული პრესა

სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში მომხდარ განხეთქილების გამო გაზეთ „მერცხალში" ბ-ნი ნა—ძე სწერს:

„როგორც ხედავთ, ექვსი დეპუტატის ულტიმატუმი არის ულტიმატუმი აშკარა რასკოლის; მისი მიღება თუ არ მიღება ერთ ფრაქციას ჰყოფს ორ ფრაქციად; ეს არის ამავე დროს ფრაქციის დარღვევა და დაუძლურება. ეს კიდევ ცოტაა. ორი ს. დ. ფრაქცია მკაცრად ჰყოფს პროლეტარიატსაც, როცა ერთი ნაწილი რაიმე ნაბიჯს აკეთებს, მეორე მას ებრძვის და წინ ეღობება; განხეთქილება, ამტყდარი ფრაქციაში, გადადის მუშათა მასაში და იქ განსაკუთრებით მკაცრ ხასიათს ღებულობს".

აღნიშნავს რა ამ განხეთქილების მავნებლობას, ბ-ნი ნა—ძე არჩევს იმათ მოსაზრებას, რომელნიც ამბობენ, ჩვენსკენ მეტი სიმართლეა, რადგანაც ჩვენ მუშათა კურიის მიერა ვართ არჩეულნი. ბ-ნი ნა—ძე სწერს:

„კურიალური დეპუტატის უაღრესობა არა კურიალურზე ნიშნავს კურიალური სისტემის დადასტურებას. თუ ეს მართალია, მაშ რატომ მოვითხოვთ კურიების გაუქმებას და საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას? ორში ერთი: ან კურიალური არჩევანი უვარგისია და მაშასადამე კურიალური დეპუტატიც თავისი პოლიტიკური ღირსებით დაბლა სდგას არა კურიალურ დეპუტატზე, ან და კურიალური არჩევანი საუკეთესო არჩევანია და, მაშასადამე, გაუმარჯოს კურიალურ სისტემას! „პრავდელები" პოლიტიკურ აგიტაციაში მოითხოვენ კუ-

რიალური სისტემის გაუქმებას, ხოლო ფრაქციონურ აგიტაციაში კურიალურ სისტემას ქება დიდებას ასხამენ! გამოდის რომ კურიალური დეპუტატი უვარგისია, მაგრამ თუ კურია „პრავდელს“ აირჩევს—ამ შემთხვევაში კურიალური დეპუტატი ღირსებით სავსეა! აქ, როგორც ხედავთ, აღარც ლოღიკაა, აღარც პრინციპი: აქ ისმის მხოლოდ „მე ვარ და ჩემი ნაბადი“...

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, როგორც კურიოზი, რომ ბ. ნი ნა—ძე აქ თავის მოწინააღმდეგეებს ებრძვის იმავე დემაგოგიური იარაღით, რანაირიც საზოგადოდ სჩვევიათ ჩვენებურ დასელებს იდეიურ მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში. მკითხველებმა იციან ჩვენი აზრი ზემოხსენებულ უთანხმოების შესახებ და ამიტომ ვერც დაგვწამებენ იმათ გამოქომაგებას, ვისაც დღეს ბ-ნი ნა—ძე ებრძვის; მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან მისი ბუშმენური ლოღიკა არ აღვნიშნოთ: „პრავდელები“ კურიალურ სისტემას კი არ იცავენ. ისინი იძახიან, ჩვენს დეპუტატებს უფრო მეტი მუშათა ხმა უმაგრებს ზურგს, ვიდრე თქვენსასაო. რა აქვს საერთო ამას კურიალურ სისტემის ქებათა-ქებასთან? მაგრამ, სჩანს, „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“.

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

30 ოქტომბრის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს. განსახილველ საკითხთა შორის არის იუსტიციის და შინაგან მინისტრებისადმი მიმართული შეკითხვა. შეკითხვა გამოწვეულია პეტერბურგის დამცველ განყოფილების უკანონო მოქმედებით, მეორე სათათბიროს სოც.-დემ. წევრებზე გამოძიების აღძვრის საქმეში.

თავმჯდომარე: გავეცანი სოც.-დემოკრატთა შეკითხვას და შემკითხველებს წინადადება მივეცი, შეკითხვის რედაქცია შეეცვალათ, რადგანაც ზოგიერთი სიტყვა უხერხულად ვცანი. შეკითხვის ავტორნი არ დამთანხმდნენ. ამისთვის შეუძლებლად ვთვლი ამ სახით შეკითხვის გამოცხადებას (მარჯვნივ ტაში).

ნაკაზის დარღვევაზე ლაპარაკობენ **მალინოვსკი, ხაუსტოვი, ნეკრასოვი, კერენსკი, პეტროვსკი, სკობელევი და ჩხეიძე.** ესენი თავმჯდომარის მოქმედებაში უფლების გადამეტებასა ჰხედავენ. სათათბიროს წევრთა მიერ შეტანილ საბუთების ცენზურის უფლება თავმჯდომარეს არ აქვს. ეს უფლება მხოლოდ სათათბიროს სხდომას ეკუთვნის.

პეტროვსკის, სკობელევს და ტიულიაკოვს თავმჯდომარემ სიტყვა წაართო.

თავმჯდომარე განმარტებას იძლევა. საყვედური ნაკაზის დარღვევის გამო სათათბიროსადმი კი არ უნდა იყოს მიმართული: ამ საქმის სრულ პასუხისმგებლობას მე ვკისრულობ. ნეკრასოვმა მოიყვანა ნაკაზის მუხლები იმის დასამტკიცებლად, ვითომც თავმჯდომარეს არ ჰქონოდეს უფლება არ გამოაქვეყნოს სათათბიროს წევრების მიერ შემოტანილი საბუთები; მე კი ეს მუხლები სხვანაირად მესმის: ნაკაზი ავალებს თავმჯდომარეს დაიცვას ღირსება და პატივი, როგორც კერძო წევრთა, აგრეთვე სათათბიროსიც. უდიერი სიტყვა სათათბიროდან უნდა იდევნებოდეს. ამისთვის თავმჯდომარე ფრთხილად უნდა იყოს და ჰსცდილობდეს სათათბიროში არა წარმოითქვას-რა ისეთი, რაიც არა მარტო კანონს, არამედ ნაკაზსაც არ აკმაყოფილებდეს. თუ კი კანონი ამას გვიკარნახებს, თავმჯდომარის წმინდა მოვალეობაა არ გამოაქვეყნოს ის, რაც სიტყვის წარმოთქმის დროს მოლაპარაკეთ ეკრძალებათ. თუ განცხადებაში მკაცრი და უდიერი სიტყვები იქნება, თავმჯდომარის მოვალეობაა ამ გვარი განცხადებანი არ გამოაქვეყნოს (ტაში). თავმჯდომარეს ასე ესმის ნაკაზი.

თავმჯდომარის აზრით იმ სიტყვების შეცვლა, რომელიც მას მკაცრად და სათათბიროს ღირსების დამამცირებლად მიაჩნია სრულიად არ დაამახინჯებდა შეკითხვის დედა აზრს. თუ შეკითხვის ავტორნი რედაქციას შეცვლიდნენ, თავმჯდომარე უეჭველად გამოაქვეყნებდა. სათათბიროს პრეზიდიუმიც დაეთანხმა ჩემ აზრს. თავმჯდომარე კვლავ ამ აზრისაა და შეკითხვის განხილვას შეუძლებლად სცნობს. საკითხი გამორკვეულია. (ხანგრძლივი ტაში ცენტრსა და მარჯვნივ).

აჯემოვი: თავმჯდომარეს ნება არ ჰქონდა კერძო თათბირის საშუალებით შეეცვალა კანონი და ნაკაზი; თავმჯდომარეს უნდა ნება მიეცა შეკითხვის გამოქვეყნებისა და შემდეგ შეეჩერებინა და აეკრძალა ის სიტყვები, რაიც მას შეურაცმყოფელად მიაჩნია.

მილიუკოვი. სათათბიროს პრეზიდიუმის დადგენილებას მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც მას წინასწარ ცენზურის უფლება არა აქვს მინიჭებული. ეს უფლება ეკუთვნის მხოლოდ სათათბიროს ლა.ის წევრებს. თუ თავმჯდომარეს შეკითხვის ადგილები მკაცრად მიაჩნია, გამოაქვეყნოს იგი გარეშეთა დაუსწრებლად.

პურიშკევიჩი: მეორე სათათბიროს სოც.-დემოკრატთა ფრაქციაში იყო კუზნეცოვი, რომელიც ქურდობდა: გეკითხებით, რას იზამდით მაშინ, თუ ის მოიწადინებდა შეკითხვით მიემართა სათათბიროსთვის ქურდობის... (ძლიერი ხმაურობა მარცხნივ; ყვირილი „გააგდეთ, გააგდეთ!“)

თავმჯდომარე. ეგ საქმეს არ ეხება. გიკრძალავთ სიტყვის თქმას.

მილიუკოვის საპასუხოდ **თავმჯდომარე** კითხულობს ნაკაზის 218 მუხლს, რომელიც პრეზიდიუმს უფლებას ანიჭებს თვისი შეხედულობით გადასწყვიტოს ის საკითხები, რაიც არც ნაკაზსა და არც კანონში, ჯეროვანად არ არის განმარტებული.

ბადაევი იწყებს ლაპარაკს შემდეგი სიტყვებით: მეოთხე სათათბირო დაჰფარავს ამ თვითნებობასაც.

თავმჯდომარე ართმევს მოლაპარაკეს სიტყვას და ამ საკითხზე კამათს სპობს.

სათათბირო შეუდგა მსჯელობას სამხედრო მინისტრის განმარტების თაობაზე; მინისტრის განმარტება ეხება ოხტენის ქარხანაში 17 დეკემბერს 1912 წ. და 3 იანვარს 1913 წ. მომხდარ აფეთქებას.

ბადაევი: მუშათა მდგომარეობა ქარხანაში არა სასურველია. სახელოსნოებში შეგროვილია ასაფეთქებელი ნივთიერებანი, რაიც აფეთქებას ადვილად შესაძლებლად ჰხდის. სამინისტრო მუშებს დიდ მოთხოვნილებებს უყენებს და ამით მუშათა ცხოვრებას დიდ ხიფათს უმზადებს. მინისტრის განმარტება მუშებს ვერ აკმაყოფილებს.

ნეხლიუდოვს ოქტომბრისტთა სახელით შეაქვს მორიგ საკითხებზე გადასასვლელი ფორმულა. ფორმულით მინისტრის განმარტება დამაკმაყოფილებლად არ არის ცნობილი და აღნიშნულია აგრეთვე ქარხნის ადმინისტრაციის დაუდევრობა.

ტულიაკოვს სოც.-დე[illegible] შეაქვს ფორმულა: მინის[illegible] მარტება სათათბიროს ვერ აკმაყოფილებს; საჭიროა ქარხანაში საქარხნო ინსპექცია დანიშნოს მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით; შემოიღონ მუშათა დასაზღვევი კანონები სახაზინო ქარხნებშიაც.

კამათში მონაწილეობა მიიღეს **ვიშნევსკიმ, მალინოვსკიმ და ჩელნოკოვმა.** სათათბირომ ოქტომბრისტების ფორმულა მიიღო.

შემდეგი სხდომა მოხდება 1 ნოემბერს.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლე ქართველობამ საქართველოს დეპუტატს ვარლამ გელოვანს გაუმართა საპატიო საღამო. ამ საღამოზე შეკრებილი ქართველობა სალამს უძღვნის სამშობლოს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მსახიობ კოტე ყიფიანის იუბილე.** 30 ოქტომბერს ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თაოსნობით კ. დ. ყიფიანის იუბილეს გამო სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულების წარმომადგენელთა კრება მოხდა. კრებამ დაადგინა: კ. დ. ყიფიანის 45 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე გადაიხადოს 1914 წლის 26 იანვარს. კრებაზე საიუბილეო კომიტეტის წევრებად აირჩიეს: თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი (თავმჯდომარედ), კნ. ა. მაჩაბლისა (ხაზინადრად), დ. მ. დუმბაძე (მდივნად), ი. ე. ზურაბიშვილი, პ. გ. მამრაძე, თ-დ დ. მ. ერისთავი და ი. მერკვილაძე.

◆ ქუთაისის გუბერნატორი გენ.-ლეიტ. **ა. ი. სლავოჩინსკი** ტფილისიდან ქუთაისს დაბრუნდა.

◆ **სააგრონომიო დახმარება.** საგრონომიო თათბირმა საჭიროდ აღიარა, ტფილისის გუბერნიას აღმოეჩინოს სააგრონომიო დახმარება 400,000 მანეთით 1915—1917 წლებში.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას** ქალაქის საბიუჯეტო-საფინანსო და სარევიზიო კომისიის შეერთებული კრება ამ დღეებში დაასრულებს და იმედი აქვს, 3 ნოემბრისთვის ქალაქის საბჭოს კრებას წარუდგინოს თავის შენიშვნებით.

◆ **ქალაქის მოურავის ავადმყოფობა.** ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი შეამოწმეს ექიმებმა ადამიანცმა, რუდენკომ და არუთინოვმა, რომელთაც აღიარეს, რომ ავადმყოფობა (ქარები) მძიმე და რთულია. ავადმყოფობა, მათის აზრით, ერთს თვეს გასტანს. ექიმების რჩევით ქალაქის მოურავი სრულიად ჩამოშორდა საქალაქო საქმეებს და თავისთან არავის იღებს.

◆ **აშუღების თხოვნა.** დღემდე აშუღებს ნება ჰქონდათ, რესტორანებსა და ღვინის სარდაფებში ევლოთ და მუსიკა დაეკვრათ და ემღერათ. ამ ხელობით თავს ირჩენდა მრავალი უსინათლო აშუღი, რომელსაც სხვა საქმის გაკეთება არ შეუძლიან. დღეს სარდაფ-რესტორანებში დაკვრა-სიმღერა სასტიკად აუკრძალეს. ამის გამო აშუღების რწმუნებულებმა მეფის მოადგილეს თხოვნა მიართვეს, რომელშიაც აღწერენ თავიანთ უნუგეშო მდგომარეობას და სთხოვენ, ნება დართოს, კვლავ იარონ დუქნებში და დაკვრა-სიმღერით არსებობის ლუკმა იშოვონ.

◆ **ქალაქის გამგეობისა და მასწავლებელთა დავა** საბოლოოდ დასრულდა და გამგეობამ განკარგულება მოახდინა, მასწავლებელთ ოქტომბრის ჯამაგირი მისცენ.

◆ **საგუბერნიო ციხის** ახალი შენობა თითქმის დასრულებულია. ციხეში იქნება რამდენიმე სამაგალითო სახელოსნო. ამ სახელოსნოთა მოწყობის საკითხის გადასაწყვეტად დღეისთვის დანიშნულია საგუბერნიო ციხის აღმაშენებელ კომიტეტის კრება.

◆ **ქანანოვის პრეტენზიები.** ქალაქის გამგეობამ გუბერნატორის წინადადებით დაადგინა, ქალაქის იურისკონსულტად ნამყოფ ქანანოვის პრეტენზიები წარუდგინოს განსახილველად საბჭოს კრებას 4 ნოემბერს.

◆ **ავჭალის წყალსადენის** საჭიროებათათვის ქალაქის გამგეობამ 2,000 მან. გადასდო და დაადგინა, სთხოვოს საბჭოს, რათა ეს ფული დამატებით შეიტანოს ხარჯთ-აღრიცხვაში.

◆ **წესიერ დასვენების პროექტი** სახელოსნო დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის ქალაქის გამგეობამ საბოლოოდ შეიმუშავა და გუბერნატორის წინადადების თანახმად საბჭოს ერთ-ერთს უახლოეს კრებას წარუდგენს განსახილველად.

◆ **ლექცია.** კვირას, 3, ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, სახალხო სახლში ნ. ა. დუბროვსკი ლექციას წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „ისტორია ნაციონალურ იდეისა მე-XIX საუკუნეში დასავლეთ ევროპაში“.

◆ **მხცოვანი მგოსანი აკაკი** დღეს, დილით, გორს მიემგზავრება, სადაც მონაწილეობას იღებს სალიტერატურო საღამოში.

◆ **რეფერატი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ლექტორი ლ. ს. კოზლოვსკი საზოგადო კლუბში რეფერატს წაიკითხავს ლოსტოევსკიზე. რეფერატის შემდეგ საუბარი გაიმართება.

◆ **ნაძალადევლთა თხოვნას** იმის შესახებ, რომ ნაძალადევს „ვაგზლის გაღმა მხარე“ დაერქვას ქალაქის საბჭო 4 ნოემბრის კრებაზე განიხილავს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 31 ოქტომბერს მოხდა. საბჭომ მთელი საღამო მოანდომა შინაურ, საორგანიზაციო საკითხების განხილვას.

◆ **კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრების გამო.** 31 ოქტომბერს ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის გ. ნ. სტეფანოვის თავმჯდომარეობით ქალაქის ექიმების კრება მოხდა. კრებამ მსჯელობა იქონია იმის შესახებ, თუ როგორი მოხსენებანი წარუდგინოს ქალაქების წარმომადგენელთა კრებას. მოხსენებათა შედგენა განაწილებულ იქმნა ექიმთა შორის. ბ-ნი სტეფანოვი დაამზადებს მოხსენებას შემდეგს თემაზე: „კავკასიის ქალაქებისათვის ცენტრალურ სანიტარო ბიუროს დაარსების საჭიროება; შ. მიქელაძე და ქალანთ[illegible] ქიმო ზედამხედველობის საჭიროება საქალაქო სკოლებში; იგივე შ. მიქელაძე: „სასკოლო ახალშენების მოწყობის საჭიროება“; ბ-ნი ქალანთარი: „ნაგავის დროზე გადაყრის საჭიროება ეზოებიდან“ და ალიბეგოვი: „იაფი და საღის რძის მნიშვნელობა და წყლით უზრუნველყოფის საკითხი“. ამას გარდა დამზადებულ იქნება მოხსენებები საქარხნო-საფაბრიკო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის სამკურნალო დახმარების საქმის გაუმჯობესებისა, ექიმთა მორიგეობის შემოღების შესახებ და სხვა.

◆ **ქუჩებისათვის სახელების დამრქმევ კომისიის** კრება დღეისთვის არის დანიშნული. განსაკუთრებით განიხილავს საკითხებს ვაკეს ქუჩებისთვის სახელების დარქმევის შესახებ. წინად განზრახული იყო, ქართულ გიმნაზიიდან სასულიერო სემინარიისაკენ მიმავალ უმთავრეს ქუჩისთვის ვაკეს პროსპექტი დაერქმიათ. ახლა კი მცხოვრებნი შუამდგომლობენ, ქუჩას მეფის მოადგილის გრაფ ი. ი. ვორონცოვ დაშკოვის სახელი ეწოდოს.

სასწავლებლებში

◆ **ახალი სკოლა.** გუშინ დიდუბეში (ფოთის ქუჩა, 27) აკურთხეს გერმანელ კათოლიკეთა ახალი სკოლის შენობა, რომელიც განზრახულია 30 ბავშვისთვის. კურთხევას დაესწრო მეფის მოადგილის მეუღლე გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისა, რომელმაც იქ თავმოყრილ ბავშვებს საჩუქრები დაურიგა.

სომეხთა ცხოვრება

◆ დღეს, დილის 8 ს. 40 წ. ქ. ბათომიდან ტფილისს ჩამოასვენებენ სტამბოლში გარდაცვალებულ საზოგადო მოღვაწის და აგრონომის სიმონ ზავარიანის გვამს. სადგურიდან საკუთარ ბინაზე გამოასვენებენ ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა მოხდება ტფილისში, კვირას 3 ნოემბერს, ხოჯივანქის სასაფლაოზე. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ვანქის საკათედრო ტაძარში.

◆ დღეს, 2 ნოემბერს, სომხის ცნობილ მსახიობის, აწ განსვენებულ იაგორ იოსების ძის პეტროსიანის სიკვდილის მეშვიდე წლის თავზე, ხოჯივანქის სასაფლაოზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რომლის შემდეგაც განსვენებულის საფლავზე დადგმულ ძეგლს აკურთხებენ.

◆ გამოვიდა სომხურ ჟურნალის „ტარაზის“ უკანასკნელი სამგლოვიარო ნომერი სომხის სამის მოღვაწის; ალ. ქალანთარის, ს. ზავარიანის და კ. ხატისიანის ხსოვნის აღსანიშნავად.

◆ ძმ. ბალდასარიანებმა (გუმბრის) წმ. მხნელის სომეხთა სკოლის სასარგებლოდ 3500 მანეთი შესწირეს.

კახეთის წვრილ კრედიტის

დაწესებულებათა კავშირი.

ამ მოკლე ხანში თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თაოსნობით ქ. თელავში თავს მოიყრიან კახეთის საკრედიტო კოოპერატივების წარმომადგენელნი კახეთის წვრილ კრედიტის ამხანაგობათა კავშირის დაარსებაზე მოსალაპარაკებლად.

რადგან ბევრი სხვა და სხვა შეკითხვები მოსდის თელავის შემნ. გამსესხ. ამხანაგობის გამგეობას ამ კრების თაობაზე, საჭიროდ ვრაცხ, როგორც გამგეობის თავმჯდომარე, დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ და შემკითხველთა საპასუხოდ მოვათავსო ეს წერილი, რომელიც თავის დროზე მოხსენდება კრებას. მით უმეტეს საჭიროა ამ წერილის ადრევე გაცნობა იმ პირთათვის, რომელნიც მომავალ თათბირზე დაესწრებიან, რადგან აქ გამოთქმულ აზრების საწინააღმდეგო თუ ექნებათ რაიმე, წინდაწინვე დაასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებას და ისე წარმოუდგენენ კრებას. ამითი კი თავიდან ავიცდენთ დაუსრულებელ კამათს და დროს უფრო ნაყოფიერად გამოვიყენებთ. ამ წერილის მოთავსებით ამასთანავე გვსურს მოვისმინოთ რომელიმე მომზადებულ ქართველ კოოპერატორის აზრი, რომელიც აღნიშნულ კრებას ამ საკითხის წესიერად გადაწყვეტაში დაეხმარება.

რად არის საჭირო კავშირი მთელი კახეთისა და არა თელავის მაზრისა ცალკე, სიღნაღის მაზრისა ცალკე, ან ორი სამი ამხანაგობისა ცალკე—გვეკითხებიან.

როგორც ამ შეკითხვებიდანა და თელავის ამხანაგობისაგან დაგზავნილ მოწოდებაზე მიღებულ პასუხებიდანა სჩანს, მიზანი კავშირის დაარსებისა რიგიანად არ უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი მათ პატივცემულ ავტორებს, რადგან მრავალს მათგანს უნდა, რომ კავშირი ყველა ამხანაგობას თავისთვის და თავისთან ახლოს ჰქონდეს.

გვწერენ: ....ჩვენ ამა და ამ სოფლის წარმომადგენელთ მოვილაპარაკეთ და უმჯობესად ჩავთვალეთ კავშირი ამა და ამ ალაგას დავაარსოთ, რადგან ფულის მისაღებად შორს სიარული იქნებაო... და სხ.

მოპასუხენი ზოგჯერ თავის სოფელს კახეთის შუაგულადა სთვლიან და გვირჩევენ მივცეთ მათ უპირატესობა კავშირის დაარსებისას. ბოდიშს ვიხდი, რომ ყველა ამ წერილებზე ცალკე პასუხი არ მიგეცით, მაგრამ გვეპატიება, რადგან მომუშავე ხელი თელავის ამხანაგობას ძალიან ცოტა ჰყავს და კითხვაც ისეთი საზოგადო ხასიათისაა, რომ მისი გამომზეურება გაზეთის ფურცლებზე შესაძლებლად ჩავთვალეთ.

აი, საქმის აზრი:

1. საკრედიტო კოოპერატივებს კავშირი იმიტომ უნდათ, რომ მან მათი ფულის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. მოთხოვნილება კი ფულისა ამხანაგობათ მეტის-მეტად დიდი აქვთ.

აქ არ ვიხსენიებთ ზოგ ამხანაგობათა მოჭარბებულ ფულის კავშირში მოთავსებას და ამ ფულით სხვა წევრ ამხანაგთა სარგებლობას. რადგან კავშირის ეს მისსია მომავალს ეკუთვნის, როცა კახეთში ამხანაგობანი საკმაოდ მოღონიერდებიან და სამოქმედო თანხას ადგილობრივვე იშოვნიან.

2. კავშირი ესაჭიროებათ ამხანაგობათ, რომ მან ფართო საზოგადო საკულტურო მოქმედებასთან ერთად ხელმძღვანელობა-ინსტრუქტორობა-კონტროლი გაუწიოს თავის წევრებს.

3. ამხანაგობათა კავშირი ესაჭიროებათ მიტომ, რომ მან მათ მიაწოდოს მეურნეობისათვის და ხელოსნობისათვის წესიერ ფასად და კარგი ღირსების საჭირო იარაღი და მასალა.

4. ამხანაგობათა წევრების ნაწარმოებთ: ღვინოს, პურს, ყველს, ერბოს, ხილს ბაზარი მოუპოვოს და სხვა.

ეს მიზანი ნათლად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი კავშირის მეთაურებს და წინდაწინვე განსაჯონ, მიაღწევენ თუ არა შეკავშირებით ზემოაღნიშნულ მიზანს.

კავშირი, ბატონებო, ის ზღაპრული ქისა კი არ არი, რომელსაც რამდენსაც დააქნევ ფულს გამოაყრევინებ, ან და კავშირის დამაარსებლებს განა ნებართვასთან ერთად ტომრებით ფულიც მოუვათ პეტერბურგიდან. არა, ბატონებო, ეს ისეთივე ღატაკი და უმწეო დაწესებულება იქნება, როგორც ყველა ახლად-შობილი კოოპერატივი და მისმა დამფუძნებლებმა დიდი უნარი უნდა გამოიჩინონ, რომ უპოვონ მას სამოქმედო სახსარი.

თუმცა, თუ კი დამფუძნებელთ თხოვნასთან ერთად აღძრეს შუამდგომლობა, ან შემდეგ ითხოვეს, სახელმწიფო ბანკი ცოტა რამეს მისცემს ძირითად თანხად. მერე, რა თანხას მისცემს ბანკი კავშირს? სათქმელადაც არა ღირს. მხოლოდ ძირითად თანხად მისცემს გრძელვადიან სესხს—მორჩა და გათავდა. მერე კი ამ ახლად შობილმა თითონ უნდა იზრუნოს თავის მომავალზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ კავშირებს, მიუხედავად მათი დაჟინებული თხოვნისა, სახელმწიფო ბანკიდან მოქმედების გასაფართოვებლად მოკლევადიანა სესხი არ ეძლევათ. გერმანეთში კი სახელმწიფო და კერძო ცენტრალური დაწესებულებანი პირველ საფეხურის საკრედიტო კოოპერატივებს მარტო კავშირთა შუამავლობით ეხმარებიან. ვთქვათ, ბანკმა რამდენიმე ასი თუმანი გრძელვადიანი სესხი მისცა კავშირს და სხვა არაფერი. მერე განა ამ რამდენიმე ასი თუმნით შეუძლიან კავშირს დააკმაყოფილოს თავის წევრები, მეტადრე ეხლა, როცა ფულის საჭიროება მეტადრე დიდია და მათ დასაკმაყოფილებლად მილიონებია საჭირო. განა ამით საშუამავლო ოპერაციები აწარმოებს? ამ უკანასკნელი ოპერაციებისთვის ხომ სპეციალური თანხაა საჭირო და, აბა, ვინ უნდა მისცეს ამ თანხის შესადგენი ფული. მოგებამ?—განა რა მოგებას მოიტანს ამისთანა მცირე თანხის ბრუნვა, რომ სასპეციალო თანხისათვისაც გადასდონ რამე! იქნებ წევრებმა მისცენ კავშირს ფული თანხის შესადგენად? რა სათქმელია! განა კახეთის ამხანაგობანი ამ ახლო მომავალში ამას შესძლებენ! მაშ, ვინ? ისევ ბანკი, ან წვრილი კრედიტის მმართველობა. ამათგან კი ძნელად თუ რამეს მიიღებენ. ეს კია რომ კავშირს დიდი მოწიწებით და მუხლის ჩოქით თხოვნა-მუდარა დასჭირდება, ვიდრე რაიმე მოწყალებას ან თუ ცივს უარს მიიღებდეს. კაი თვითმოქმედი დაწესებულება კი იქნება ეს საცოდავი კავშირი, აი! არა, ბატონებო, თუ კავშირის დამაარსებლებს უნდათ სასარგებლო დაწესებულება რამ შექმნან, უნდა უსათუოდ შეურჩიონ ის პირობები, რომელიც მომავალ კავშირს უშველის სახსრის დაუბრკოლებლად მოპოვებაში და საზოგადოდ გაუადვილებს და ნაყოფიერ ჰყოფს მის მოქმედებას.

პირველ ყოვლისა კავშირი ვერაფერს გააკეთებს, თუ მას მოქმედების რაიონი მეტად მცირეა. რომ კავშირს უნდა ჰყავდეს ინსტრუქტორი, რევიზორი, აგრონომი; იყოლიოს მეღვინეობის საგანგებო მცოდნე და ჰქონდეს საცდელი მინდორი: მოაწყოს ექსკურსიები, მართოს კურსები, იქონიოს დროგამოშვებითი ორგანო—უსათუოდ კარგი შემოსავალი უნდა ჰქონდეს და აბა ათისა და ოცი ამხანაგობისაგან შემდგარი კავშირი რა შემოსავალს ნახავს თავის მცირე ოპერაციიდან, რომ ამისთანა საქმეს გაუძლოს.

მოზრდილი რაიონიანი კავშირი საჭიროა აგრეთვე საშუამავლო ოპერაციების საწარმოებლად. რომ შეიძინოს და მიაწოდოს წევრებს საჭირო სამეურნეო მანქანები, შაბიამან-გოგირდი, საწამლო ხელსაწყო, სასუქი მასალა და სხ. ხელსაყრელ პირობებში, უსათუოდ ბევრი უნდა იძენდეს, თორემ წვრილ მსყიდველს არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს დიდი ფირმის პატრონი. ძვირადაც მისცემს საქონელს და ნდობითაც ცოტას ენდობა. საბრალოა ამისთანა კავშირი და უმწეო სხვა და სხვა სავაჭრო ფირმების ხელში, რადგან შესაძენ საქონლის სარკვევად ლაბორატორიას ვერ იქონიებს და ქიმიკოსი არ ეყოლება. არ ეყოლება აგრეთვე მექანიკოსი მანქანებისა და იარაღების ღირსება-ნაკლულევანების შესამოწმებლად. მაშასადამე გამყიდველი ამისთანა პატარა კავშირს რასაც უნდა იმას მიაჩეჩებს და როგორც ჰსურს ისე მოატყუებს.

ამხანაგობის წევრთა ნაწარმოების გასაღება ხომ უფრო და უფრო არ შეეძლება მცირე რაიონიან კავშირს. ჯერ ერთი, თელავის მაზრის კავშირმა რომ იქონიოს ცალკე ღვინის სარდაფი და ქიზიყისამ ცალკე, აუცილებლად, ნებსით თუ უნებლიეთ, ერთმანეთს არა სასურველ მეტოქეობას გაუწევენ. იმიტომ რომ მყიდველი ორთავ კავშირთან დაიწყებს მოლაპარაკებას და რომელიც იაფად მისცემს, იქ იყიდის. ერთი მეორის შიშით კი ხან ერთი დაუწევს ფასს, ხან მეორე და ამ წესით ძალიან დასცემენ ამხანაგთა ნაწარმოებ ნაშრომის ღირებულებას. ამასთანავე პატარა კავშირი ვერც დიდ მთავარ სარდაფს აიშენებს, ვერც დახელოვნებულ მეღვინეს მოიწვევს; ვერც ყველა წევრის მონაგარს მოათავსებს სარდაფში, სივიწროვისა გამო—იმპერიის სხვა და სხვა სავაჭრო პუნქტებში ხომ თავის დღეში ვერ ეღირსება აგენტურებს ან საწყობებს; მაშასადამე, თუ აღნიშნულ სამსახურს ვერ გაუწევს ჩვენს კახეთს მომავალი კავშირი, ვერც ეხლა და ვერც შემდეგ, რაღა საჭიროა მისი დაარსება. ამიტომ სამწუხაროა ქიზიყის შვიდი კოოპერატივის სურვილი, რათა დააარსონ სიღნაღის მაზრის ამხანაგობათა კავშირი და არა მთელი კახეთისა ერთად. აბა დაფიქრდით, მეზობელო კოოპერატორებო, რა იქნება ამისთანა კავშირი (სიღნაღის მაზ.), რა უნდა გაგიკეთოთ მან, ვის გამოადგება ისა.

თავს არ შეგაწყენთ ჩემის სჯა-მოსაზრებით, აღვნიშნავ ცოტა რაიმეს წვრილ-კრედიტის დაწესებულებათა კავშირების ისტორიიდან.

გერმანეთში ყველაზე მცირე კავშირია „აღმოსავლეთ პრუსიისა“ (პიტსბურგში), რომელიც აერთებს 43 ამხანაგობას. მაგრამ ეს კავშირი დაარსებულია 1873 წელს, როდესაც გერმანეთში კოოპერაცია ჯერ ფეხს ახლად იდგამდა და მის დამაარსებელთაც ნაკლები გამოცდილება ჰქონდათ. შემდეგ კი დიდ რაიონიან კავშირებს აარსებენ. ეხლა გერმანეთში თითო კავშირზე მოდის 370 ამხანაგობა. ერთს მესამედს გერმანიის კავშირებისას კი წევრად 380-დან 755-მდე ეყოლება. მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისი.

◆ 1 ნოემბერს გამოვიდა ახალი ყოველ-დღიური **ქართული გაზეთი „ერი“**. როგორც გაზეთი აცხადებს, „იმერეთის“ რედაქციასთან შეთანხმებით, „იმერეთის“ ხელის მომწერლებს „ერი“ გაეგზავნებათ.

◆ ამ მოკლე ხანში ქუთაისში მოქმედებას დაიწყებს ქ. შ. წ. კით. ს. ზ. ქუთაისის განყოფილების **სტამბა**, რომელიც ჩინებულად მოუწყვიათ.

◆ 21 ოქტომბერს **ჯრუჭის მონასტრის ერთი** შენობისათვის ბოროტგამზრახველებს ცეცხლი წაუკიდებიათ: ზარალი რვაას მანათამდეა. დამნაშავენნი ვერ აღმოუჩენიათ.

გორი.

◆ კვირას, 3 ნოემბერს, ქ. გორში აკურთხებენ და ოფიციალურად გახსნიან გორის წ.-კ. საზოგადოების განყოფილების მიერ ახლად დაარსებულს **ბიბლიოთეკა-სამკითხველოს**.

◆ დღეს, გორის საკრებულოს დარბაზში, მგოსან **აკაკის** მონაწილეობით გაიმართება სალიტერატურო-სადამო.

სოხუმი

◆ გაგრის კლიმატიურ სადგურიდან სოხუმში მიიღეს, სოხუმის მახლობლად მდებარე **გოგირდის წყლის** შემადგენლობის შემოწმება სადგურის აზრით ეს მადნეული წყალი პიატიგორსკისას არ ჩამოუვარდება, პირ-იქით უკეთესიც ყოფილა, რადგანაც რკინაც ურევია, თურმე, რასაც მოკლებული ჩრდილო კავკასიის მადნეულის წყლები.

სოფლად.

◆ **ველისციხე.** 23 ოქტომბერს თელავიდან სიღნაღში მიმავალმა ფოსტა-ტელეგ. ოლქის უფროსმა მუსელიუსმა ველისციხის ფოსტა-ტელეგ. განყოფილება დაათვალიერა და ყველაფერი წესიერად ცნო.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ (1 ნოემბრის) ნომერში, ფელეტონად დაბეჭდილს **„ბიბლიოგრაფიაში“** შემდეგი შეცდომანი შეგვეპარა:

1) მეორე გვერდზე, მეხუთე სვეტში, სტრიქ. 14 ბოლოდან, დაბეჭდილია „მოთხრობად“ უნდა იყოს **„მოთხრობად“**;

2) იმავე გვერდზე, მეექვსე სვეტის მე-9 ზემოდან სტრიქონში დაბეჭდილია: „ქრისტეს შიშის“, უნდა იყოს: „ქრისტეს **შობის**“;

3) მესამე გვერდზე, პირველი სვეტის მე-16 სტრიქონში (ზემოდან) დაბეჭდილია: „შორისა“ უნდა გასწორდეს: **„შობასა“**;

4) იმავე გვერდზე მეორე სვეტის მე-18 სტრიქონში (ბოლოდან) დაბეჭდილია „ტომებსაც“, უნდა იყოს „ტომებიც“.

ქუთაისის ქალაქის მოურავის ილ. ჩიქოვანის წერილი: „აუცილებელი განმარტება“, რომელიც დაბეჭდილია ჩვენი გაზეთის № 1030, მესამე გვერდზე, პირველ სვეტში, მე—43 სტრიქონში, შეცდომით დაბეჭდილია: „მაგრამ თეატრისთვის მიწა მუქთად უნდა მოგცეთო“. უნდა იყოს: **„მაგრამ თეატრისთვის მიწა მუქთად უნდა მოგვცეთო“.**

შეყვარებულთა ზღაპარი

გულით უყვართ ერთმანეთი,
ერთმანეთს კი გაურბიან;
'შორის კვდომით მღელვარებენ,
მწუხარებით ცრემლსა ჰღვრიან.

გაშმაგებით დაეძებენ,
ცალკე სევდით ივსებიან;
გულს ერთმანეთს მოუკლავენ,
რა ერთმანეთს შეჰხვდებიან.

ერთმანეთი თუ კი უყვართ,
ერთმანეთსა რაღად სჯიან!?
არ იციან, ყრმანი თვისთვის
თვითვე ტანჯვას რისთვის ჰქმნიან!

* * *

რად შემიყვარდა ბნელი ღამე, კაეშნიანი?
რად შემიყვარდა იგი შავი, ძაძაფრთიანი?
იქნებ მაგონებს ჩემგნით განცდილს მწარე წარსულსა,
როს შავი სევდა მიშხამავდა უღვთოდ ნორჩ სულსა?
იქნებ მაგონებს ჩემს მიჯნურსა, ტურფა ასულსა:
მის შავს თვალებსა, მის შავს თმასა, მაგრამ შავგულსა.
იქნებ მაგონებს ძაძა მოსილს ობოლ მამულსა,
მის მოზარესა, მის ბედს შავად დღეს დათალხულსა?
რად შემიყვარდა ბნელი ღამე, კაეშნიანი?
ოცნება ჩემი ამ დროს ცოცხლობს მსუბუქფრთიანი!

ლეიპციგი. **სანდრო შანშიაშვილი.**

ბეჭდვითი სიტყვის საქმე სათათბიროს კომისიაში

27 ოქტომბერს ბეჭდვითი საქმის სახელმწიფო სათათბიროს კომისია შეუდგა მთავრობის კანონ-პროექტის განხილვას. კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ი. ეფრემოვი. გრ. ბენიგსენმა კომისიას წარუდგინა ვრცელი, საინტერესო მოხსენება, მომხსენებელმა ყველა ჯგუფის მოსაზრებანი ორ ჯგუფად გაჰყო. ბეჭდვითი სიტყვის შესახებ მოქმედ დებულებასთან შედარებით პირველი ჯგუფი წინ მიდის, მეორე კი ნაბიჯს უკანა სდგამს, განსაკუთრებით ადმინისტრატიულ ჯარიმების საქმეში.

მემარჯვენეთა პროექტი არსებულ კანონების ნიადაგზე ემყარება, მხოლოდ აძლიერებს პასუხის გებას ბეჭდვითი სიტყვის დანაშაულობისთვის.

ნაციონალისტების პროექტს შემოაქვს გამომცემლობის პასუხისმგებლობაც. მაგრამ ამავე პროექტში შეტანილია ნიშანდობლივი ახალი რამ: მთავრობამ აანაზღაუროს გამომცემლობის ზარალი, თუ გამოცემა უსაფუძვლოდ დაიჭირეს.

მეორე მხრით არის კადეტების პროექტი, რომელსაც შეაქვს განუსაზღვრელი თავისუფლება და რეპრესიებს ძლიერ ასუსტებს.

პროგრესისტების პროექტი უახლოვდება კადეტებისას, მხოლოდ ამყარებს საკანტროლო ვადას ბროშიურებისათვის, აგრეთვე მომხრეა სახედრო წესების დროს ძალაში დარჩეს სავალდებულო წესების გამოცემის უფლება. ოქტომბრისტების პროექტით ნებართვის წესი შენახულია ათი ათასს მცხოვრებიან ადგილებისთვის. აგრეთვე მყარდება განსაკუთრებული ნებართვის წესი სტამბებისა და მაღაზიებისთვის.

ცენზურის შესახებ ბენიგსენი იმ აზრისაა, რომ შეიძლება დარჩეს ცენზურა სასახლის ცნობებისათვის.

სათათბიროს სხდომების სტენოგრაფიულ ოქმებს ბეჭდვის შესახებ, მთავრობის კანონ-პროექტი წინადადებას იძლევა ეს ოქმები ან შეუცვლელად იბეჭდებოდეს ან და მიუდგომლად შემოკლებული. ბენიგსენმა აღნიშნა: სასურველია ოქმებიდან ცალკე სიტყვების დაბეჭდვის ნების დართვაც; „მიუდგომლად შემოკლება“ კი ყველას თავისებურად ესმის და ამიტომ ეს ტერმინი უნდა შეიცვალოს, მის მაგიერ უნდა იყოს, „გადმოცემა სწორი და გადაუსხვაფერებელი“. მომხსენებელი მომხრეა დრამატიულ ნაწარმოებთა ცენზურისა, იმ სახით, როგორც ეს დასავლეთ ევროპაშია.

სისხლის სამართლის პასუხის გების საკითხის შესახებ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უეჭველად საჭიროა გამოცემის აკრძალვის ვადის განსაზღვრა. ბენიგსენი იმის მომხრეა, რომ დამტკიცდეს, დასავლეთ ევროპის მიხედულობით, საბოლოვო ვადის შემოკლება. ბოლოს მან პროტესტი განაცხადა, პრესის დანაშაულობის საქმეთა სააპელაციო განჩივრებას აკრძალვის წინააღმდეგ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: პ. მილიუკოვმა, ნაციონალისტმა ალექსეევმა, ვ. პურიშკევიჩმა, შრომის ჯგუფის წარმომადგენელმა სუხანოვმა და ს. დ. სკობელევმა.

მილიუკოვი თანახმაა, კანონპროექტის განხილვა მეორე ნაწილიდან დაიწყონ, მხოლოდ საჭიროდ სთვლის უპირველეს ყოვლისა განხილული და გარკვეულ იქნას საერთო დებულებანი პრინციპიალურის ხასიათისა. დასასრულ მილიუკოვი წინადადებას იძლევა კანონპროექტს წაუმძღვარონ ოთხი ძირითადი განცხადება დეკლარაციული ხასიათისა: „სრული თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა, ბეჭდვითი სიტყვის პასუხის მგებლობა მხოლოდ სასამართლოს წინაშე, სტამბების პასუხის მგებლობა საერთო კანონმდებლობის წესით და სრულიად გაუქმება ადმინისტრატიულ ზომებისა პრესის წინააღმდეგ“.

გრ. ბენიგსენი უპასუხებს, რომ იმ ძირითად დებულებათ, რომელიც მილიუკოვმა წამოაყენა მხოლოდ მაშინ შეიძლება კენჭი ეყაროს, როდესაც კანონ-პროექტის ცალკე ნაწილები იქნება მიღებული. შეუძლებელია ჯერ იმის დამტკიცება, რომ ცენზურა საერთოდ მოისპოს და შემდეგ ლაპარაკი სასახლის ცნობებსა და სხვათა ცენზურის გამო. უფრო საჯობინოა ეს საკითხი კომისიის მუშაობის ბოლოს მოვაქციოთ.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა, მილიუკოვის წინადადებას, რომელიც 16 ხმით, რვის წინააღმდეგ უარჰყვეს.

შემდეგ კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვის წინააღმდეგ ილაპარაკეს სუხანოვმა და სკობელევმა. კომისია ხმის უმეტესობით მიემხრო კანონ-პროექტს. მუხლობრივი განხილვა დაიწყო მე-38 მუხლიდან.

მუშათა ცხოვრება

მუშათა დაპატიმრება.

ამ ცოტა ხანში მოსკოვში დააპატიმრეს 54 მუშა. მათ დაპატიმრებას კავშირი აქვს გაზეთ „ნაშ პუტ“-ის გამოცემასთან. დაპატიმრებულ მუშათა ნათესავებმა მიმართეს სათათბიროს წევრს მალინოვსკის, იშუამდგომლოს დაპატიმრებულთა განთავისუფლებისათვის. მალინოვსკიმ ინახულა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი და სთხოვა მოახდინოს გამოძიება მუშათა დაპატიმრების თაობაზე. დირექტორმა აღუთქვა ახლო ხანში გამოძიების დანიშვნა.

ფოთი

მომხმარებელ საზოგადოების „ეკონომიის“ გამგეობამ უკანასკნელ მორიგ კრებაზე დაადგინა: 1) მოეთხოვოს ყველა წევრს დარჩენილი საპაიო ფული; 2) ნისიად მოვაჭრე მოვალეების შესახებ შეტანილ იქნას სასამართლოში საჩივარი. საჩივრის მოწესრიგება მიენდოს კერძო ვექილს; 3) პირველ იანვრიდან გახსნილ იქნას ნავთსადგურში და სხვა მუშათა უბანში სანოვაგის დუქანი და ფურნე.

— მოსკოვის კავშირმა ამ საზოგადოებას კრედიტი გაუხსნა; რამოდენიმე საქონელი უკვე გამოუგზავნია. საქონელს დღითი-დღე მოელიან.

— მუშები დიდის ხალისით ეკიდებიან. მომხმარებელ საზოგადოებას წევრთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. შავი ქვის მუშებიდან 55 კაცი ჩაეწერა, „როსიის“ საზოგადოებიდან—50 კაცი, რუსის საზოგადოებიდანაც—თითქმის ამდენივე.

კადნიერება თუ პედაგოგიური სიბეცე? *)

პასუხად ბ. კორდელს

(იხ. „სახალხო გაზეთი“ № 1014).

> მეტის-მეტი ჰოიშო
> ხარს უკუღმა წაიყვანსო.
> **ხალხ. ანდაზა.**

ჩვენ, ქართველებს, ერთი ზნე გვჭირს: არ ვიცით ზომიერების დაცვა არაფერში: თუ ვაქებთ ვისმეს ან რამეს—ცამდი აგვყავს, თუ ვძაგებთ—სულით ხორცით შევაჩვენებთ, მიწაში ჩავაძვრენთ. ასე ვიცით არამც თუ კერძო ცხოვრებაში, არამედ საჯაროდაც, მაშინ, როდესაც მეტი სიფრთხილე, მეტი წინდახედულობაა საჭირო, მით უმეტეს, თუ საგანს საზოგადო მნიშვნელობა აქვს, ან და ვეხებით ადამიანის წმიდათა-წმიდას. აი ეხლაც ასეთი შეჩვენების ობიექტად გავხდით ამას წინად ჩვენ, როდესაც ვინმე ბ. კორდელმა მოისურვა „გარჩევა“ „სახალხო გაზეთში“ ჩვენ მიერ შედგენილი წიგნისა: „რუსული ენის მეთოდიური ქრისტომატია, ნაწილი მეორე“. ბ. რეცენზენტმა არც აცივა, არც აცხელა და კალმის ერთის მოსმით მიწასთან გაასწორა ჩვენი წიგნი და მასთან, რასაკვირველია, ჩვენც, მისი შემდგენელნი. აბა მოვუსმინოთ, როგორ ახასიათებს ბ. კორდელი ჩვენ სახელმძღვანელოს:

1. ეს ქრისტომატია „გარუსების ტენდენციას ემსახურება“.
2. „ასეთ სახელმძღვანელოთი ასწავლიან მხოლოდ იმგვარ სკოლებში, სადაც პოლიტიკური მიზნით, ცდილობენ „ინოროდეც“ მოწაფის გულიდან თვისი სამშობლო ოჯახისადმი, ენისადმი, წაშალონ მოწაფის სულში ყველაფერი წმინდა, კარგი და სამაგიეროდ ჩაუნერგონ მას „უცხო თესლი მისი გადასაგვარებელი საწამლავი“.
3. „სახელმძღვანელო საფრთხეს უქადის მოწაფეს“.
4. „ერთად-ერთი სულიერი განცდა ბავშვისა ასეთ სახელმძღვანელოს დროს იქნება მისი (ბავშვის) ტანჯვა და წამება“.
5. შემდგენელთ „ყოველნაირად შეუწყვიათ ხელი ოჯახის (ინოროდცის) და სკოლის შუა უთანხმოების გაძლიერებისათვის“.
6. „ამ სახელმძღვანელოში გარდა „კატერინა“, „ვანიუხა“, „მატრიონასი“ არა არის რა“.
7. „სახელმძღვანელო იმდენად გაჟღენთილია რუსული სულით, რომ ვოსტორგოვებიც კი ვერ ინატრებდნენ უკეთესს“ და სხვ.

მკითხველი საზოგადოება სამართლიანად აღშფოთდება ამ წიგნით, ზემოდ ამონაწერის დახასიათების შემდეგ, (თვით საზოგადოება, სამწუხაროდ, ჯერ არ იცნობს მეორე ნაწილს ჩვენი სახელმძღვანელოისას; ეს ნაწილი პირველად გამოვიდა გასასყიდად ამ ზაფხულის და შემოდგომიდან შესდგა ფეხი სკოლებში) და ჩვენ, წიგნის შემდგენელნი, დავესახებით მას ჩვენი სკოლის ბოროტ სულებად, მამულის დამღუპველად. ამაზედ უმძიმესი ბრალდება ძნელი წარმოსადგენია ყველა შეგნებულ ქართველისათვის, მაგრამ ჩვენ, შეიძლება, ყურადღება კიდევ არ მიგვექცია პირად შეურაცხყოფისათვის, რომ საქმე არ ეხებოდეს მეტად დიდმნიშვნელოვან საგანს—ჩვენ სკოლას. სკოლის საკითხი დღევანდელ ჩვენ ცხოვრებაში არის ერთი ძირითად საკითხთაგანი.

სკოლა არის ის სამჭედლო, სადაც უნდა გამოიჭედოს ჩვენი მომავალი ბედის ჯაჭვი. სკოლამ უნდა გვიხსნას ჩვენ. ამიტომ იგი ღირსია საერთო ყურადღებისა, მით უმეტეს, რომ უბედურ დღეზედ დაბადებულის ჩვენი სკოლის გზა ეკლითა და ნარითა არის დაფენილი. ამ გზას გაწმენდა ესაჭიროება. ყოველი ჩვენთაგანი, ვისაც ძალ-ღონე შესწევს და რისამე გაკეთება შეუძლიან, ვალდებულია მიიღოს ამ საქმეში მონაწილეობა, რადგან ეს საქმე არც არავის კერძო მოვალეობას, არც ვისმეს მონოპოლიას არ შეადგენს. ნუ დავივიწყებთ მხოლოდ, რომ საკითხი მეტად სერიოზულია და ზერელე გადაკრა მისი საქმეს მარტო გააფუჭებს. სხვის ლანძღვით, უადგილო განგაშით საქმე არ გაკეთდება. ამ გვარი პოლიტიკის ბრალია, რომ დღემდე რუსული ენის შესასწავლი რიგიანი სახელმძღვანელო არა გვაქვს. ჯერ იყო და თვით განსვენებული იაკობ გოგებაშვილი მოღალატედ სთვლიდა ყველას, ვინც რაიმე წუნს, თუნდაც უმცირესს, დასდებდა მის სახელმძღვანელოებს, ან ახალს, საკუთარს გამოსცემდა. მაგრამ იმ კაცს იმოდენა ღვაწლი მიუძღვოდა იმავე დროს სამშობლო სკოლის წინაშე, რომ, შეიძლება, სწორედ ამის გამო საზოგადოება უთმობდა და ითმენდა. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ მის შემდეგაც იმავე გზას ადგანან ზოგიერთნი. ასეთი გზა აღთქმის ქვეყნას როდი მიგვიყვანს. ამიტომ დაუფიქრებლივ ნუ ვკრავთ წიხლს სხვებსაც, კეთილის განზრახვით მოსულთ საერთო საქმეში მონაწილეობის მისაღებად...

ეროვნული სკოლის შექმნა დღესდღეობით შეუძლებელი ხდება ჩვენთვის, ხოლო ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სრულიად დავიკარგოთ იმედი ოდესმე მაინც ამ სურვილის განხორციელებისა, ან არ შევეცადოთ მეტი უფლება მოუპოვოთ დედა-ენას დღევანდელ სასწავლებლებში, ან კიდევ—სრულიად ჩამოვშორდეთ არსებულ სკოლებს და არ გავაკეთოთ ის, რაც ეხლანდელ პირობებშიდაც შესაძლებელია.

დღევანდელ სკოლაში სწავლა სწარმოებს ჩვენთვის უცხო რუსულს ენაზე. ბავშვს ესაუბრებიან განსაკუთრებით ქართულად პირველ 3—3 ნახ. თვეს; შემდეგ ლაპარაკში ერევა რუსული ენა, რომელზედაც თანდათან გადადის მთელი სწავლა. ასეა სოფლად. ხოლო ქალაქებში: გიმნაზია-პროგიმნაზიებში, სამოქალაქო სასწავლებლებში, ქალაქის პირველდაწყებით სასწავლებლებში, სხვა და სხვა კერძო თუ სახაზინო სკოლებში ხშირად ამასაც ვერა ვხედავთ: სწავლა პირველ დღიდანვე სწარმოებს რუსულად, ხოლო დედა-ენას, თუ ასწავლიან, დათმობილი აქვს კვირაში რამდენიმე გაკვეთილი, ხშირად ისიც მხოლოდ დაბალ კლასებში. ასეა დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენში დღეს. ჩვენ აქ იმის დაფასებას არ შევუდგებით, რამდენად სამართლიანია და რაციონალური, სადი პედაგოგიის თვალ-საზრისით, ასეთი ნაადრევი შეჭრა და გაბატონება სასწავლებელში უცხო ენისა. ეს ამ წერილის საგანს არ შეადგენს. ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ის, რასაც ვხედავთ და რასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში.

ყველა ზემოდ დასახელებულ სასწავლებლებში პირველი ალაგი აქვს დათმობილი რუსულ ენას და სიტყვიერებას. რუსული ენა დღევანდელ სკოლაში არის ის ღერძი, რომელსაც გარს დასტრიალებს ყველა დანარჩენი საგანი. სასკოლო მთავრობის მთელი ყურადღებაც ამ საგნისკენ არის მიქცეული. მთავრობა, უეჭველია, ხელმძღვანელობს სხვა და სხვა მოსაზრებით, რომლებსაც ჩვენ, რასაკვირველია, ვერ გავიზიარებთ; მიუხედავად ამისა, ეს ენა ჩვენს ყურადღებასაც უნდა იპყრობდეს, ერთის მხრივ იმიტომ, რომ რუსული ენა დღევანდელ პირობებში არა ნაკლებ დედა-ენისა საჭიროა ჩვენთვის; მეორე მხრივ—ამ ენაზედ ასწავლიან სკოლებში ყველა სხვა საგანს; და კიდევ იმიტომ, რომ სწორედ ამ გზით, ენის შემწეობით, მთავრობა აწარმოებს თავის სასკოლო პოლიტიკას.

ბავარიის კავშირი 2.300-მდე წევრისაგან შესდგება.

ავიღოთ ახლა რუსეთი. იქაც ვხედავთ, რომ პირველ ხანებში არსდება ძალიან პატარა რაიონიანი კავშირები: ბერდიანსკისა, მელიტოპოლისა, შემდეგ კი კიევისა, ყუბანისა, ეკატერინოსლავისა. პირველ დაარსებულ მცირე რაიონიან ბერდიანის კავშირში დღევანდლამდე 23 ამხანაგობა ითვლება, შემდეგ დაარსებულ დიდ რაიონიან კიევის კავშირში კი უკვე ასი ამხანაგობა შედის.

რუსეთის კავშირთა ბალანსებს ქვემო მოყვანილ ცხრილებიდან გაეცნობით, მხოლოდ გერმანიაში თითო კავშირზე საშუალოდ მოდის 4 მილიონი მან., დარმშტადის კავშირის ბალანსი 1 მილიონ მან. აღწევს, ბავარიისა კი 17 მილიონ მან. აჭარბებს.

მოგეხსენებათ, ბ.ბ. კოოპერატორებო, თუ კახეთი დღეს რანაირ პირობებშია ჩაყენებული. ფილოქსერა უკვე ეწვია—და ამისთანა სტუმრის დასახვედრად კახელს ფული და წინამძღოლი სჭირია. თანამედროვე მეურნეობა კახეთისა ძველ ფორმებიდან გამოსვლას იწყობს. მის ასაყვავებლად საჭიროა მეტი ფული და უკეთესი პატრონობა. პატარა რაიონიანი კავშირები კი კახეთს ვერაფერს უშველის. ამნაირი კავშირი ვერ მიიზიდავს შესანახ ფულს და ვერც კერძო ბანკების დიდ ნდობას დაიმსახურებს. ერთიც და მეორეც კავშირისათვის ყოფნა არ ყოფნის საკითხია, თორემ, თუ კავშირს შესანახად შემოტანილი ფული არ ექნება და ვერც თავის თამასუქებს გადაახურდავებს სხვა ბანკებში, აბა რა შეეძლება. ვერც ფულს მიაწვდის წევრებს და ვერც სხვა რაიმე სამსახურს გაუწევს. ჩვენს დროში კი უფულოდ ძნელია რაიმეს გაკეთება.

აი ცხრილი, რომელიც ნათლად გვაჩვენებს, თუ რა სწრაფად ვითარდებიან მოზრდილ რაიონიანი კავშირები და რა ბლომად იზიდავენ შესანახად ფულს და ამავე დროს რა საცოდავები არიან მათთან შედარებით პატარა კავშირები.

რაოდენობა შესანახად შემოტანილ ფულისა	კიევისა.	ყუბანისა.	ეკატერინოსლავისა.	ეკატერინობურგისა.	ბერდიანისა.	მელიტოპოლისა.
1913 წ.	მან.	მან.	მან.	მან.	მან.	მან.
1 იანვარს	866.241	72.196	6.854	87.738	89.362	119.014
1 ივლისი	1.131.473	110.880	48.158	52.977	80.582	69.289

მოზრდილ რაიონის გარდა, შესანახ ფულის მოსაზიდად საჭიროა, რომ კავშირი მოთავსებული იყოს ქალაქ ალაგას, სადაც სწარმოებს აღებ-მიცემობა, არსებობს სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი, სადაც არიან ინტელიგენტები, ხელოსნები ქარგალ-შეგირდებით და საცა ხშირადა ხვდება სოფლის ხალხი სხვადასხვა ვალდებულების მოსახდელად. მხოლოდ ამისთანა ქალაქში შეგროვდეს ფული და არა სოფელ ალაგას, თუნდაც ამ უკანასკნელში ძალიან შეძლებული ხალხიცა სცხოვრობდეს, რადგანაც ხშირადა ხდება, რომ სოფლელ კაცს მამულ-დედულიც დიდი აქვს, კარგადაცა სცხოვრობს, მაგრამ ფულს კი თვის-თვეობამდე თვალით ვერა ჰხედავს.

ან კი რათ უნდა ფული: ღვინო და პური სახლში მოეძებნება; ქათამი, საკლავი საქონელი, რძე და ფეხის მოსასავალი სახლიდანვე გამოუვა. მაშ რათ უნდა ხშირად ხელში ფული—რომელი ქალაქელივით ყოველ დღე ბაზარს ადგია. თუ მცირე რამ უნდა იყიდოს, მიდის ქალაქში. მიაქვს თავის დოვლათიდან რაიმე ხელწამოსაკრავი, ჰყიდის და აღებული ფულით ყიდულობს საჭირო საგანსა. თუ დიდი ღირებულობის რამე უნდა იყიდოს და ფული არა აქვს, მაშინ მოვახშეს მოსძებნის... თუ ბლომად ღვინო გაყიდა, ან სხვა რაიმე წლის მოსავალი, გლეხი თავის ფულს ისევ ქალაქის ხაზინაში, ან ბანკში მოათავსებს, თუ სახლში წაიღო, მეზობლებს უსათუოდ დაუმალავს შეძენილ ფულს: სკივრში, საწოლოში, თახჩაში ან თუ სადმე მივარდნილ ალაგს ხელსახოცის ყურში გამოკრულს ინახავენ სოფლებში ფულს. სხვა არა იყოსრა ამ ბოლო დროს ყაჩაღების შიშით ჩვენი გლეხობა თავისიანებსაც კი არიდებს ფულსა. რადგან ფულის დაგულებას ყაჩაღთა ბრბოს დაუპატიჟებელი სტუმრობა მოსდევს ხოლმე, თუკი მდიდარი გლეხი ძნელად მიიტანს მომავალ კავშირში შესანახად ფულს, თუ კავშირის გამგეობა სოფელში იქნება, ღატაკს გლეხს ხომ თითონაც არა აბადია რა და აბა შესანახად რას შეიტანოს. მაშასადამე, ამისთანა პირობებში კავშირი რომ ვერ იშოვის საწარმოოდ ფულს ადვილი წარმოსადგენია. ამიტომ ძალიან საზიანო იქნება ამა თუ იმ სოფლის ამხანაგობის დაჟინება, რომ კავშირი უსათუოდ იქ დაარსდეს, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ის კახეთის შუაგულში მდებარეობს. ცენტრი-შუაგული კახეთისა არა გეომეტრიული საზომებით უნდა ვეძიოთ, არამედ ისე როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ. კავშირს ესაჭიროება სამყოფელ ადგილად ცენტრი განათლებისა, ფულის მოძრაობისა, მრეწველობისა, აღებ-მიცემობისა, ადმინისტრაციისა, ხელოსნობისა და სხვა და სხვა. ამისთაა ცენტრად კახეთში შეიძლება ჩაითვალოს თელავი, ან სიღნაღი.

და თუ მომავალში რომელიმე სოფელი ყოველ მხრივ გაასწრობს დასახელებულ ქალაქებს, და უმრავლესობა ამჯობინებს გამგეობის იქ გადატანას, ეს ადვილად მოხერხდება, რადგან აწ არსებულ კავშირთა წესდება ნებას აძლევს წევრებს კავშირის გამგეობას უცვალონ. თავის სურვილისამებრ ჯერ ჯერობით კი ასეთ სოფელში შეიძლება დაარსდეს საწყობი, სარდაფი ან რაიმე ადგილობრივ მოთხოვნილებათა და პირობების შესაფერი განყოფილება კავშირისა.

სხვა არა იყოს-რა, ხაზინა მაინც არის ქალაქ ალაგას, რომლის შემწეობითაც შეიძლება შესრულდეს სხვა და სხვა საბანკო მოქმედებანი. წარმოიდგინეთ, რომ კავშირს 10—15 დღის განმავლობაში შეუგროვდა 30—50 ათასი მან., რომელიც რამდენიმე დღის უკან რომელიმე საკრედიტო დაწესებულებას, ან სავაჭრო ფირმას უნდა გადაუხადოს, ან გასცეს სხვა წევრებზე. მაშინ რა ქნას კავშირის გამგეობამ, როგორ და სად შეინახოს ეს ამოდენა ფული. ეჭვი არ არის, ძალიან გაუძნელდება კავშირის გამგეობას ათას თუმნობით სოფელში მოტანა და სოფლიდგან წაღება; აგრეთვე ძნელი იქნება შეკავშირებულ ამხანაგობათ მიერ კავშირიდან ფულის აღება და კავშირში ფულის გაგზავნა. 25—50 ათასი მანეთის მისატან-მოსატანად და სოფელში შესანახად მთელი მცველების რაზმი იქნება საჭირო. და ამისთანა საშიშო პირობებში მყოფ დაწესებულებას ყველა დიდი ბანკი, სახელმწიფო ბანკიც, რასაკვირველია, ალბათ დაუწყებს ცქერას და არაფერში ენდობა. მასთან საქმეს, ხალისით არც თუ დიდი ფირმები იქონიებენ.

(დასასრული იქნება)

დ. ლუკაშვილი.

---

*) იბეჭდება სრულიად უცვლელად. **რედ.**

ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ ჩვენთვის სულ ერთი არ არის, როგორ არის დაყენებული რუსული ენის სწავლება ჩვენ სკოლებში. ენის შესწავლაში, მეტადრე უცხოსი, სახელმძღვანელოს უკავია პირველი ადგილი. მაშასადამე ჩვენთვის სულ ერთი არ უნდა იყოს, რა რიგ სახელმძღვანელოთი ასწავლიან ამ ენას, ვინაიდგან თუ სახელმძღვანელო არ ვარგა, ბავშვი ხარჯავს უმიზნოდ ზედმეტს ენერგიას და იმავე დროს მახინჯდება სულიერად.

ამიტომ სახელმძღვანელოების შერჩევა-დაფასების დროს ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ უპირველესყოვლისა შემდეგის დებულებებით:

1 რამდენათ უადვილებს იგი ბავშვს უცხო ენის შესწავლა-შეთვისებას.

2. რამდენათ შეწონილია წიგნის შინაარსი ბავშვის ჰასაკთან.

3. რამდენად საღია და ფაქიზი წიგნში მოთავსებული მასალა, რომ არ მოუწამლოს ბავშვს გრძნობა-გონება.

ამ თვალ-საზრისით უნდა ვაფასებდეთ, როგორც არსებულ სახელმძღვანელოებს, ისე იმათ, რომელნიც ახლად შემოდიან ხმარებაში, ოღონდაც ერთის პირობით: ამ საკითხში ხათრი ჯამობას, შენჩემიანობას, სხვა და სხვა გრძნობის გაყოლას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

განსვენებულმა იაკობ გოგებაშვილმა შეუდგინა ჩვენს ბავშვებს რუსული ენის შესასწავლი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო ორ ნაწილად, „რუსკოე სლოვო“ წოდებული, ორი-სამი წლის კურსით.

იაკ. ზედგინიძე და ვ. ჯაფარიძე.
(შემდეგი იქნება)

სხვა და სხვა ამბავი

სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის განხეთქილება.

სათათბიროს სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის განხეთქილება ფრაქციის გაყოფით დასრულდა. ეხლა არსებობს ორი დამოუკიდებელი ფრაქცია: „მეუმრავლესეთ“ დაარსეს „სოციალ-დემოკრატთა მუშათა ფრაქცია“, მეუმცირესეებმა კი თვისი ძველი სახელი შეინარჩუნეს.

დეპ. პურიშკევიჩი და ბეილისის გამართლება.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, დეპ. პურიშკევიჩს ნაცნობნი შეეკითხნენ ბეილისის საქმის განაჩენზე; პურიშკევიჩს უპასუხნია: „ჩვენ პირში შემოგვაფურთხესო“.

სათათბირო და იუშჩინსკის მოკვლა.

როგორც ხმა დადის, სათათბიროს ოპოზიციას განუზრახავს შეკითხვა შეიტანოს, რა მიზეზების გამო ვერ აღმოაჩინეს იუშჩინსკის მკვლელები. შეკითხვის განხილვის დროს ავტორნი მოითხოვენ პასუხისგებაში მისცენ კიევის მაძებარ პოლიციის აგენტნი და გამომძიებელნი უმოქმედობის გამო.

როგორც ამბობენ სათათბიროს წევრი შულგინი, შეკითხვის განხილვის დროს გამოაქვეყნებს ფრიად საყურადღებო საბუთებს იუშჩინსკის მკვლელობის თაობაზე.

ტუსაღები და ბეილისი

როდესაც ბეილისს ანთავისუფლებდნენ ციხიდან ტუსაღებმა შემდეგი სიტყვებით გამოაცილეს იგი: „ილოცე ჩვენთვის, უმანკო სულო“

ბეილისის ბინას პოლიცია იცავს.

გრუზენბერგის სახელობის სტიპენდია.

კიევის უნივერსიტეტში აპირებენ დაარსონ ბეილისის დამცველ გრუზენბერგის სახელობის სტიპენდია.

ბეილისი და გლეხები.

როგორც გამოირკვა, ნაფიც მსაჯულთა რიცხვში ბეილისის საქმის გარჩევის დროს, იყო რამდენიმე გლეხი. მათ ბეილისის საქმე პირველად სასამართლოში გაიცნეს. გლეხების ხმებით გაიმარჯვა ბეილისის გამართლების განაჩენმა.

როდესაც რუსეთის დიდებულმა მწერალმა კოროლენკომ გაიგო ბეილისის გამართლება სიხარულისაგან იტირა და სთქვა: „გლეხების სინდისში არ მოვტყუვდით“.

რუსეთი

„რუსკია ვედომოსტი“-ს სახელის სტიპენდიები.

ცნობილმა ქველმოქმედმა შახოვმა 6,000 მანეთი შესწირა შანიავსკის სახალხო უნივერსიტეტს „რუსკ. ვედ.“—სახელის სტიპენდიების დასანიშნავად. სტიპენდიები განსაკუთრებით სტამბაში მომუშავეთა შვილებს დაენიშნება, განურჩევლად სარწმუნოებისა, წოდებისა და სქესისა. საიუბილეო კომიტეტმა ეს ფული უკვე გადასცა შანიავსკის უნივერსიტეტს. „რუსკ. ვედომ.“ საიუბილეო ფონდიდან კიდევ მეორე სტიპენდია არსდება იმავე პირობებით.

დანარჩენი თანხა, 30,000 მ. გადაეცა „ლიტერატორთა და ჟურნალისტთა დამხმარე საზოგადოებას.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დიდძალი საზოგადოება, გაჭედილი დარბაზი, ბევრი სიცილი, მხურვალე მიგებება საყვარელის მსახიობისა, ხოლო მხატვრობის მხრით არაფერი—ასეთი იყო ვას. აბაშიძის საბენეფისო წარმოდგენა.

გ. შალიკაშვილის „მოსაქმე ბიუროკრატები“ ფარსია პარიჟული ჟანრისა და უფრო უცხოეთის ცხოვრებას შეეფერება, ვიდრე ჩვენსას. პიესის შინაარსი არაა მოკლებული აზრს—ვინც აშკარად ჩადის ცოდვას, ის უფრო წმინდაა, ვიდრე ის, ვინც სიწმინდის სამოსელში გამოხვეულია, ხოლო სულით და გულით ძალზე გარყვნილია, მაგრამ ეს აზრი მეტად გადამლაშებულია.

მოთამაშეთა შორის თავი იჩინეს თვით მობენეფისემ და კ. მესხმა, რომელთაც საუცხოვო მხატვრულის ნიჭით დაგვისახეს მოხუცი მოარშიყე მოხელეები. კარგი იყო აგრეთვე ქ. ჩერქეზიშვილისა ცრუ სათნოების დედაკაცის სინკლიკიტას როლში. ქ. დავითაშვილისა ავად იყო ამ საღამოს და უხერხული იყო მისი სცენაზე გამოშვება.

დასასრულ ითამაშეს ცნობილი მხიარული ვოდევილი „მეჯლისი იტალიელებით“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ მობენეფისე, ტ. აბაშიძე, ა. იმედაშვილი, ზ. საფაროვი.

არასასიამოვნოა, რომ ისეთი ღრმა ნიჭი და დამსახურებული მსახიობი, როგორიცაა ვ. აბაშიძე, თავის ბენეფისის დღეს ფარსით და არა რომელიმე კლასიკურის ნაწარმოებით უმასპინძლდება საზოგადოებას. სხვა არა იყოს-რა, ცოტა ადგილი მაინც უნდა დაეთმო ერისთავის, ანტონოვის, ცაგარლის კომედიებისთვის. აი, თუნდ ანტონოვის „მზის დაბნელება“ მხატვრულად დადგმული ნაკლებს შთაბეჭდილებას მოახდენდა მხიარულობის მხრითაც? მხატვრული ნაწარმოები არასოდეს არ ძველდება და ამის მოგონება მოვალეობაა კ. აბაშიძისთანა მსახიობების.

სახალხო სახლი. 3 ნოემბერს, ქართულ სახალხო წარმ. მმართველი წრე წარმოადგენს ა. ცაგარლის მხიარულ კომედიას **„რაც გინახავს, ველარ ნახავ“**, რომელშიაც მონაწილეობენ წრის ყველა ძალები.

11 ნოემბრისათვის მზადდება ნ. გოგოლის ცნობილი კომედია „რევიზორი“, რომელიც წარს. სეზონში მეტად მოხდენილად და მხატვრულად იყო დადგმული „წრის“ მიერ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

1 ნოემბერი.

უცხოეთი.

ბელგრადი. სამხედრო სამინისტროს ცნობით ომის შემდეგ დარჩა 30.000 დაუძლურებული ჯარის-კაცი.

დუბლინი. გაფიცულთა ბელადს ლარკინს უმაღლესად ეპატია დანაშაული. იგი ხალხს ასაჯანყებლად მოუწოდებდა. ლარკინს ციხიდან დაუყონებლივ გაანთავისუფლებენ.

ტოკიო. პარლამენტის სხდომები 26 დეკემბერს დაიწყება. გარეშე საქმეთა მინისტრი განმარტებას იძლევა მექსიკაში ჯავშნოსანის გაგზავნის თაობაზე: მისი სიტყვით მექსიკაში მცხოვრები 3.000 იაპონელი მღელვარების გამო განსაცდელშია.

პარიზი. გარეშე საქმეთა მინისტრმა პიშონმა სტატ-სეკრეტარ კოკოვცევის პატივსაცემლად სადილი გამართა.

ლონდონი. სააგენტოს კორესპონდენტის კერძო ცნობათა მიხედვით, დიდ სახელმწიფოებს ალბანეთის საკითხში დაწყნარება ეტყობათ. ავსტრიის დელეგატებმა ინსტრუქცია მიიღეს საქმის მსვლელობას მშვიდობიანი ხასიათი მისცენ. განხეთქილება არსებობს სამხრეთ საზღვარის საკითხში. მიჯნათა განსაზღვრას დროს სტრატეგიულისა და გეოგრაფიული მოსაზრებით იხელმძღვანელებენ.

მექსიკა. ჰუერტამ უპასუხოდ დასტოვა შეერთებულ შტატების ულტიმატუმი. ულტიმატუმი წინადადებას აძლევდა ჰუერტას სალამოს ექვს საათამდე განეცხადებინა, რომ იგი კონგრესის მოწვევაზე უარს ამბობს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოლაპარაკება შეწყვეტილი იქნება.

ბელგრადი. სერბიისა და ჩერნოგორიის გამიჯვნის ხელშეკრულება ხელმოწერილია.

ბრიუსელი. გაიხსნა საერთაშორისო დიპლომატთა კონფერენცია სადამოჟნო და სასტატისტიკო საკითხების გამოსარკვევად. განზრახვა აქვთ ბრიუსელში მუდმივი ბიურო დაარსონ.

ლონდონი. გაზეთ „ტაიმს“ ვაშინგტონიდან ატყობინებენ: პრეზიდენტ ვილსონს მექსიკის საქმის თაობაზე უთქვამს: თუ ჰუერტის გასაძევებლად ფინანსიური ძალდატანება საკმარისი არ იქნება, მაშინ ძალაუნებურად მოგვიხდება მექსიკის ნავთსადგურებს გემებით ალყა შემოვარტყათ, ან ჩრდილო ამერიკის ჯარი შევიყვანოთ მექსიკის მიწა-წყალშიო. ვილსონმა სახელმწიფოებს განუცხადა, შეერთებული შტატები მექსიკის მიწა-წყალის ხელში ჩაგდებას არა სცდილობსო.

მექსიკო. ვილსონის საგანგებო რწმუნებული ლინდი ვერაკრუცში წავიდა. მეამბოხენი მექსიკოსა და ვერაკრუცს შორის გზას აფუჭებენ, მექსიკოდან ასი მილის მანძილზე მატარებელი შეაჩერეს, ერთი მილიონი პეზეტი გაიტაცეს და მგზავრებიც გაძარცვეს.

სოფია. სავოვმა სოფიაში დაბრუნებისას უარჰყო ცნობა, ვითომც ბულგარეთსა და ოსმალეთს ხელშეკრულება დაედოთ. თუმცა კი ამ სახელმწიფოთა კეთილგანწყობილებას ადასტურებს. სავოვი ქებით იხსენიებს ოსმალეთის ჯარს და მისი მდგომარეობა საუცხოვოდ მიაჩნია.

სტოკჰოლმი. ნობელის ჯილდო 1913 წელს ინგლის-ინდოელ პოეტს თაგორეს ერგო.

ქაირო. სულთანმა ხედივს დაავალა ინგლისის მთავრობის სურვილისამებრ ვაკუფების მართვა-გამგეობა სამინისტროდ შესცვალოს.

ათინა. პარლამენტის სესია მეფის სეფე-სიტყვით გაიხსნა. მეფეს დიდის ამბით შეხვდნენ.

ბელგრადი. ახლად დაპყრობილ ოლქებში სამხედრო წესი გაუქმდა.

ბერლინი. ამ ბოლო დროს გახშირდა ავსტრიელ პოლონელების გაძევება პრუსიის საზღვრებიდან. უკანასკნელ კვირაში მიზეზის დაუსახელებლად 30 პოლონელი გააძევეს.

მანჩომერი (ალაბამის შტატი). შუაგულ გეორგიას გზაზე, კლეოტონის მახლობლად, მატარებელს ქვეშ ხიდი ჩაინგრა. იმსხვერპლა 20 კაცი, 250 დაჭრილია.

ლიმა (პერუ). მიწის ძვრისაგან დაინგრა ქალაქი ლიუანა; 250 კაცი იმსხვერპლა.

მექსიკა. ჰუერტამ კონგრესი 2 ნოემბრისთვის მოიწვია.

ვენა. რეისტრატის ორივე პალატა დელეგაციის წევრთა არჩევას შეუდგა. დეპუტატთა პალატაში გერმანია-ჩეხიის შეთანხმების საკითხის განხილვის დროს ილაპარაკა გერმანიის ნაციონალურ კავშირის წევრმა ლოდჰმანმა. გერმანელები იმ შემთხვევით შესთანხმდებიან, თუ მათი უფლებანი უზრუნველჰყვეს და ამასთანავე შეუძლებლად გახადეს ჩეხელების მხრივ გერმანიის ოლქს მისაკუთრება თუ ავსტრიას ძალა არ შესწევს თავისით გადასწყვიტოს ეროვნული საკითხი, დ[illegible] წუთი, შეიძლება ჩქარაც დადგეს იგი, როდესაც ეს საკითხი გარეშე ძალის მეოხებით გადასწყდებაო. ავსტრიის სლავიანები უნდა სცდილობდნენ საქმის მოგვარებასაო.

მინისტრ-პრეზიდენტმა ითათბირა გალიციის სეიმის სამ ჯგუფთან: ცენტრთან, ავტონომისტებთან და პოლონელ ხალხის კავშირთან. სამივე პარტიის ერთსულოვნება გამოირკვა. მთავრობას განზრახვა აქვს მოლაპარაკება გამართოს პოლონელთა და გალიციის რუსთა პარტიებთანაც.

რუსეთი.

ეკატერინოდარი. ქალაქის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, გადაიდოს 156 ათასი მანეთი შავი ჭირის საწინააღმდეგო ზომების მისაღებად.

პეტერბურგი. ბეჭვდითი საქმის კომიტეტმა დაიჭირა გაზეთი „რეჩ“-ის მე-298 ნომერი.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ განიხილა შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება, გაძევებიან იმპერიის საზღვრებიდან კირგიზ-კირიელები, რომელნიც მონღოლთა მიერ შევიწროვების გამო თავის ნებით დასახლდნენ ტომსკის გუბერნიაში. მინისტრთა საბჭომ ეს წინადადება მიიღო და შინაგან საქმეთა და გარეშე საქმეთა მინისტრებს მათი გაძევება დაავალა.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ სათათბიროში წარსადგენად მოიწონა:

1. შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება—გაგრძელდეს დროებითი დადგენილებათა მოქმედება იმპერიის ზოგიერთ ადგილებში პოლიციის გასაძლიერებლად, ვიდრე პოლიციის რეფორმის პროექტი დამტკიცდებოდეს:

2. გზათა სამინისტროს წინადადება—ხაზინამ დამატებითი კრედიტი სახით გადასდოს 5.275.385 მ., ხაზინის რკინის გზათა ექსპლოატაციის ზედმეტი ხარჯების დასაფარავად:

3. პასუხისგებაში მიეცნენ რკინის გზის მოსამსახურენი უბილეთო მგზავრის წაყვანისთვის. სასჯელად იქნება ციხე სამი თვიდან ერთ წლამდე.

პეტრბურგი. სახელმწიფო სათათბიროში შესდგა ახალი ფრაქცია „დამოუკიდებელი ჯგუფი“—ამ ფრაქციაში შევიდა სათათბიროს რვა წევრი: მეიენდორფი, კარაულოვი, ივანოვი მეორე, კანაშევი, ლოგვინოვი, სავატეევი, ფირსოვი მეორე და ერიმოვსკი.

რედაქტორი ნ. ყურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი

სანიტარო ექიმები
უბნები: 1—2 მ. ფთინაძე-ხიზირთვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში ქნ. ლ. [illegible] ([illegible], აზნაურების ქ. ტელ. 547).
5—6ა. ზ. [illegible] (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 ნ. დ. ხატისოვი ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709)
9—11 გ. თ. [illegible] (მონუმენტის [illegible], № 5. 487).
10—12 ვ. ა. [illegible] (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოთ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადება [illegible] ყველას შეუძლიან გადასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ერივანის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, ვახტანგის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 58 და მალაკანის მოედანზე.

ქალაქის სავადმყოფოები
მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.
უბნები
1—2 ნ. ა. [illegible] (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22, ტელეფ. 592).
3—4 მ. ი. [illegible] (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 ი. შ. [illegible] (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
[illegible] პ. ლ. [illegible] (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27)
8—9 ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი (გუნიბის ქ., № 23.
10, 11—12 ა. გ. ტერ-ნიკოღოსოვი (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. [illegible]: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. [illegible]: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. [illegible]: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1004

ა. კიპიტ. ამზადებს სიმწიფის მოწმობისათვის, სამხედრო სასწავლებელში, 1 ხარისხის ვოლნოოპრედელიაიუშჩის გამოცდისათვის და საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის. შეთანხმების მიხედვით პირობას აძლევს გამოცდის სასურველ შედეგების შესახებ. ნახვა შეიძლება: დილით 12—1 საათამდე და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახ. № 142 (პიროგოვის ქუჩის კუთხე) 1540

მუხრანის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკასიის“ ნომრები იყო, გაიღო
საოჯახო ნომრები
შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეული სულ ახალია ნომერი ღირს: 60 კ.—დან 1 მანეთამდე. თვიურებს დიდი შეღავათი. 1552

95 კაპეიკად
განცვიფრებაში მოჰყავს ყველა საოჯახო სათვალთმაქცო წიგნაკს!
ამ წიგნაკის საშუალებით ყველას შეუძლიან სხვისი აზრი გაიგოს, გამოიწვიოს აჩრდილი, შეიტყოს ვის ვიუყვარს, ვის რა ჰქვიან. გადააქციოს ჯოხი გველად, ხოლო წყალი—ღვინოდ. მოგვობის საიდუმლო უკვე ახსნილია. ფარდა აწ უკვე ახდილია და ეხლა შეგიძლიანთ აიღოთ ტიტველა ხელში გახურებული რკინა; ენაში გაიყაროთ ლურსმანი; გიტაროთ გვამშიგ რძელი ხმალი; აჩვენოთ მოჭრილი მოლაპარაკე თავი და თქვენი თავის უვნებლად გარდაქმნა. ხელოვნება, თუ როგორ გააკეთოთ ფული წყალისაგან, შეგიძლიანთ გაავსოთ ერთ წამში ოთახი წყლითა ან და ნისლით და ბევრი სხვა გასაოცარი თვალთმაქცობა ჩაიდინოთ. თვალთმაქცობის შესრულების დროს ყოველი სახლი შეგიძლიანთ აქციოთ ნაზრახ კოშკად. ფასი 95 კაპ. გამოიგზავნება ფასდადებითაც. გამოგზავნისათვის და ფასდადებისათვის გადასახდელი იქნება 25 კ. ერიდეთ სიყალბეს! ახალი გამოცემა ბევრად შესწორებულია, 272 გვერდი და მრავალი სურათი.
M. 59316. მისამართი: T—во „Заря“, Варшава, отд. 123. 1547

მთელს დედა-მიწაზე საუკეთესო
გრამო-ფონებს
„იაკორ“-ს
ქუდის სათვაბრიკო მაღაზია
გრამოფონებისა
გ. ს.
დავიდოვისა.
ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა შეიძლება.
გოლოვინის პროსპ., № 6, საკრებულოს ქვეშ.
1531

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:
წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:
ПРОФ. Н. МАРРЪ:
Житье св. Григорія Хандзтійскаго —3 მ.
Древнегрузинскіе одописцы — —3 მ, —
Вступительныя и заключительныя строфы Витязя въ Барсовой кожѣ 1 მ. 25 კ.
Антіохъ Стратигъ, плѣненіе Іерусалима персами въ 614 г. — — —2 მ.
Критика и мелкія статьи кн. V —75 კ.
Физіологъ. Армяно-грузинскій изводъ — — — —2 მ.
Основныя таблицы къ грамматикѣ древне-грузин. языка — — —5 მ.
Кавказ. памятн. духов. культуры 20 კ.
Исторія грузіи (культ. истор набросокъ) — — — —25 კ.
Изъ поѣздокъ въ Сванію — — —30 კ.
Изъ лингвистическ. поѣздки въ Абхазію — — — —50 კ.
Къ вопросу о задачахъ армяно-вѣд. 5 კ.
Ефремъ Сиринъ. О днѣхъ празд. рождества, объ основ. перв церквей въ Іерусалимѣ —75 კ.
сс. Аримаѳейскій. Сказаніе о построеніи первой церкви въ г. Лиддѣ (груз текстъ) — — —1 მ.
Ипполитъ, толкованіе пѣсни пѣсней груз. текстъ X вѣка — — —2 მ.
ახლად მიღებული წიგნები:
ჩვენი ახალ თაობის უკულმართი ცხოვრების ძირითადი მიზეზები ნ. თავდგირიძისა — — —20 კ.
ბაში-აჩუკი აკაკისა — — —30 კ.
როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოებდეს წვრილი კრედიტის დაწესებულება ა. კახელიძისა— —10 კ.
ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე) ალ. ხახანაშვილისა — — — —1 მ.
ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

აგენტმა
ივანე გრიგოლის ძემ
ხალათიანმა
ავადმყოფობის შემდეგ განაახლა განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მიხეილის პრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493

მივიღეთ ცივადი-მატარებლით
პეტერბურგიდან
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძმეველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ამურის წითელი ხიზილალა | კეტოვი |
სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა
კოლოფით ❦ ხმელი სოკო. 1500

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.